პრეზიდენტ თომას ს. მონსონის მიერ



წინასწარმეტყველები, რომლებიც წინ მიგვიძღვიან

რამდენიმე წლის წინ მე სოლთ ლეიქის ტაძრის ერთ-ერთ ოთახში ვიჯექი, სადაც კვირაში ერთხელ პირველი პრეზიდენტობა და თორმეტ მოციქულთა ქვორუმი იკრიბება. მე დაჟინებით ვუცქერდი კედელს, სადაც პირველი პრეზიდენტობა იყო გამოკრული და იქ ეკლესიის პრეზიდენტების სურათებს სათითაოდ ვაკვირდებოდი.

როცა მათ, ჩემს წინამორბედებს, დაჟინებით ვუყურებდი - დაწყებული წინასწარმეტყველი ჯოზეფ სმითიდან (1805 -44) პრეზიდენტ გორდონ ბ. ჰინკლის ჩათვლით (1910-2008) ვფიქრობდი: „რაოდენ მადლიერი ვარ ყოველი მათგანის მითითებებისთვის“.

ესენი ის დიადი ადამიანები არიან, რომლებიც არასდროს არ ყოყმანობდნენ, არ მერყეობდნენ და არასდროს არ ყოფილან წარუმატებელნი. ესენი ღვთის კაცები არიან. როცა ვფიქრობ თანამედროვე წინასწარმეტყველებზე, რომლებსაც ვიცნობდი და მიყვარდა, ვიხსენებ მათ ცხოვრებას, თვისებებს და მათ შთაგონებულ სწავლებებს.

პრეზიდენტი ჰიბერ ჯ. გრანტი (1856-1945) ეკლესიის პრეზიდენტი იყო მაშინ, როცა მე დავიბადე. როცა ვუფიქრდები მის ცხოვრებას და სწავლებას ვხედავ, რომ პრეზიდენტი გრანტი ყოველთვის იყო შეუპოვრობის მაგალითი, იყო რა შეუპოვარი ყოველივეს მიმართ, რაც კარგი და კეთილშობილი იყო.

პრეზიდენტი ჯორჯ ალბერტ სმითი (1870-1951) ეკლესიის პრეზიდენტი იყო მაშინ, როცა ჩემს მრევლში სოლთ ლეიქ სითიში ვმსახურობდი ეპისკოპოსად. მან შენიშნა, რომ უფლისა და მოწინააღმდეგეს შორის ურყევი კონკურენტული ბრძოლა იყო. „თუკი უფლის მხარეს დარჩებით, - გვასწავლიდა იგი, „თქვენ მისი გავლენის ქვეშ იქნებით და არ გექნებათ ბოროტის კეთების არანაირი სურვილი“.[1]

1963 წ. პრეზიდენტმა დევიდ ო. მაქკეიმ (1873-1970) თორმეტ მოციქულთა ქვორუმში მომიწოდა. თავისი ცხოვრების წესით იგი სხვების მიმართ პატივისცემას გვასწავლიდა. „ჭეშმარიტი ქრისტიანობა“, - ამბობდა იგი, „ნიშნავს სიყვარულს მოქმედებაში“.[2]

პრეზიდენტი ჯოზეფ ფილდინგ სმითი (1876-1972) ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი მწერალი, ცხოვრებაში წამყვან პრინციპად იყენებდა სახარების ცოდნას. იგი განუწყვეტლივ კითხულობდა წმინდა წერილს და ისევე კარგად იცოდა მის ფურცლებზე გადმოცემული დოქტრინები და სწავლებები, როგორც ნებისმიერმა სხვა ადამიანმა, ვისაც ვიცნობდი.

პრეზიდენტი ჰაროლდ ბ. ლი (1899-1973) ჩემს ბავშვობაში პალოს პრეზიდენტი იყო. მისი საყვარელი გამონათქვამი იყო „იდექი წმინდა ადგილებში და არ გაინძრე“.[3] მან შეაგულიანა წმინდანები, იყვნენ ერთ ტალღაზე და მგრძნობიარენი სულიწმინდის კარნახის მიმართ.

მე მწამს, რომ პრეზიდენტ სპენსერ ვ. კიმბალის (1895-1985) ცხოვრების წამყვანი პრინციპი იქნებოდა თავდადებულობა. იგი სრულად, არაორაზროვნად, უფლისთვის თავდადებული იყო. იგი ასევე სახარებით ცხოვრებისათვის თავდადებული იყო.

როცა პრეზიდენტი ეზრა ტაფტ ბენსონი (1899-1994) ეკლესიის პრეზიდენტი გახდა, მან მომიწოდა პირველი პრეზიდენტობის მეორე მრჩევლის პოზიციაზე. მისი წამყვანი პრინციპი სიყვარული იყო, რაც მხსნელის მიერ ნათქვამ მისთვის საყვარელ ციტატაშია ნახსენები: „როგორები უნდა იყოთ“? ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: როგორიც მე ვარ“.[4]

პრეზიდენტი ჰოვარდ ვ.ჰანტერი (1907-95) იყო ერთ-ერთი მათგანი, რომელიც სხვებში ყოველთვის უკეთესს ეძებდა. იგი მუდამ თავაზიანი იყო; ყოველთვის თავმდაბალი. ჩემთვის დიდი უპირატესობა იყო მემსახურა მასთან მეორე მრჩევლის როლში.

პრეზიდეტნმა ჰინკლიმ გვასწავლა, რომ ყველაფერს საუკეთესოდ უნდა ვაკეთებდეთ. მან ძლიერი დამოწმება გაგვიზიარა მხსნელისა და მისი მისიის შესახებ. იგი სიყვარულით გვასწავლიდა. ჩემთვის მის პირველ მრჩევლად მსახურება დიდი პატივი და დალოცვა იყო.

მხსნელი აგზავნის წინასწარმეტყველებს, რადგან მას ვუყვარვართ. წელს, ოქტომბრის კონფერენციის დროს, ეკლესიის მთავარ ხელმძღვანელებს კვლავ მიეცემათ უპირატესობა, გაგვიზიარონ თავიანთი სიტყვა. ჩვენ დიდი ზეიმითა და თავმდაბლობით ვეპყრობით ამ პასუხისმგებლობას.

რაოდენ დალოცვილნი ვართ ჩვენ, რომ იესო ქრისტეს აღდგენილი ეკლესია დედამიწაზეა დღეს და იგი დაარსებულია გამოცხადების ქვაზე. უწყვეტი გამოცხადება იესო ქრისტეს სახარების სულისჩამდგმელი ელემენტია.

დაე, მოვემზადოთ პირადი გამოცხადებების მისაღებად, რაც ასე უხვად ხდება გენერალური კონფერენციის დროს. დაე, იმ დროს, როცა ხელს ავწევთ ცოცხალი წინასწარმეტყველებისა და მოციქულების მხარდასაჭერად, ჩვენი გულები სავსე იყოს მტკიცე გადაწყეტილებით. დაე, გაგვიბრწყინდეს გონება, ვიპოვოთ ნუგეში და ძალა მათი გამოსვლების მოსმენისას. დაე, ვიყოთ მზად, კვლავ ავიღოთ საკუთარ თავზე ვალდებულება უფალ იესო ქრისტეს, სახარებისა და მისი საქმის მიმართ და ვიცხოვროთ განახლებული გადაწყვეტილებით, დავიცვათ მისი მცნებები და აღვასრულოთ მისი ნება.

შენიშვნები

1. *Teachings of Presidents of the Church: George Albert Smith* (2011), 191.
2. *Teachings of Presidents of the Church: David O. McKay* (2003), 181.
3. მოძღვრება და აღთქმები 87:8.
4. 3 ნეფი 27:27.

ამ გზავნილის სწავლება

პრეზიდენტი მონსონი გვიზიარებს ძლიერ გაკვეთილებს, რომლებიც მან წინამორბედი წინასწარმეტყველებისგან ისწავლა. იგი ასევე გვახსენებს, რომ „მხსნელი აგზავნის წინასწარმეტყველებს, რადგან მას ვუყვარვართ“. როცა ემსახურებით მათ, ვისაც ასწავლით, თქვენ უნდა განიხილოთ, როგორ წარმოადგენენ წინასწარმეტყველები და მოციქულები ღმერთის სიყვერულის ნიშანს ჩვენთვის. განიხილეთ პრეზიდენტ მონსონის რჩევა ბოლო გენერალური კონფერენციიდან. მოიწვიეთ ისინი, ვისაც სტუმრობთ, მოემზადონ გენერალური კონფერენციისთვის იმ გამოსვლების განხილვით, რომლებმაც ისინი განსაკუთრებით შთააგონა და დაეხმარა მათ, შეეგრძნოთ მხსნელის სიყვარული.

ახალგაზრდები

მადლობას გიძღვნით, ო, უფალო

რა გავლენა მოახდინა თქვენზე პრეზიდენტმა თომას ს. მონსონმა? ყველაზე მეტად რა გემახსოვრებათ მის შესახებ? გააკეთეთ დღიურში ჩანაწერები პრეზიდენტ მონსონისა და მისი ცხოვრების შესახებ, განსაკუთრებით აღნიშნეთ ყოველი წინასწარმეტყველის გავლენა *მის* ცხოვრებაზე.

ასევე შეიძლება გაგიჩნდეთ სურვილი, აირჩიოთ მისი საყვარელი ციტატა და დაწეროთ იგი თვალსაჩინო ადგილას, მაგ. სასკოლო რვეულზე ან სადმე ოთახში. ან შეგიძლიათ სურათი გადუღოთ ამ ციტატას და ტელეფონის ფონად გადაუღოთ. ყოველთვის, როცა ამ ციტატას შეხედავთ, გაგახსენდებათ ცოცხალი წინასწარმეტყველის მნიშვნელობა და გეხსომებათ, რომ იგი აქ არის იმისთვის, რომ ვუყვარდეთ და წინ მიგვიძღოდეს დღეს.

შეგიძლიათ ჩაიწეროთ ჰიმნის „ მადლობა, ო, უფალო“ მუსიკა საიტიდან at **lds.org/go/9176.**

ბავშვები

წინასწარმეტყველებს მივყავართ ქრისტესკენ

მხსნელი გვაძლევს წინასწარმეტყველებს, რადგან მას ვუყვარვართ. თუ წინასწამეტყველს მივყვებით, ეს დაგვეხმარება სწორი არჩევანის გაკეთებაში . დაასახელეთ ორი რამ, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ, რათა მიჰყვეთ წინასწარმეტყველს.

© 2017 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი *First Presidency Message, September 2017.* Georgian. 97929 131

ერთნი გულით

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, რა უნდა გაუზიაროთ სხვებს. როგორ მოამზადებს მოწყალების საზოგადოების მიზნის გააზრება ღვთის ასულთ, მარადიული ცხოვრების დალოცვებისთვის?

რწმენა • ოჯახი • მოწყალება

„და უწოდა უფალმა თავის ხალხს სიონი, რადგან ისინი იყვნენ ერთი გულითა და გონებით და ცხოვრობდნენ მართლად; და არ იყვნენ მათ შორის ღარიბნი“ (მოსე 7:18). როგორ შეგვიძლია გავხდეთ ასეთნი?

უხუცესმა მ. რასელ ბალარდმა თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან თქვა: “ინგლისური სიტყვის atonement *(გამოსყიდვა)* შუაგულში მოთავსებულია სიტყვა one *(ერთი)*. ეს რომ კაცობრიობას ესმოდეს, არ იქნებოდა ადამიანები, რომელის მიმართაც გულგრილნი დავრჩებოდით, მიუხედავად მათი ასაკის, ეროვნების, სქესის, რელიგიის, სოციალური თუ ეკონომიური მდგომარეობისა. ჩვენ ვეცდებოდით, მიგვებაძა ქრისტესთვის და არასდროს არ ვიქნებოდით ბოროტნი, გულგრილნი, უპატივისცემლო ან ყურმძიმენი სხვების მიმართ“.[1]

პრეზიდენტი ჰენრი ბ. აირინგი, პირველი პრეზიდენტობის პირველი მრჩეველი, გვასწავლიდა: „იქ, სადაც ხალხში სულიწმინდაა, შეუძლიათ ჰარმონიის იმედი ჰქონდეთ. . . . ღვთის სული არასდროს არ წარმოქმნის კამათს (იხ 3 ნეფი 11:29). . . . ამას მივყავართ პირადი სიმშვიდისა და სხვებთან ერთობის გრძნობისკენ“.[2]

ოჯახურ სირთულეებზე საუბრისას გენერალური პრეზიდენტობის მოწყალების საზოგადოების პირველმა მრჩეველმა, ქეროლ მ. სტეპენსმა, თქვა შემდეგი: „მე არ გამომივლია გაყრა, არ გამომიცდია მიტოვებული ქალის ტკივილი და დაუცველობის გრძნობა, არც მარტოხელა დედასთან დაკავშირებული ვალდებულებები. არ გამომიცდია შვილის სიკვდილი, უნაყოფობა ან იგივე სქესის მიმართ ლტოლვა. არ ამიტანია ძალადობა, არ მქონია ქრონიკული დაავადებები და მავნე ჩვევები. ასე რომ, ამ სირთულეების გამო არ დამჭირვებია ზრდა.

“. . . მაგრამ *ჩემი* პირადი გამოცდებისა და გასაჭირის გამო . . . კარგად გავიცანი ის ერთადერთი, ვისაც ესმის ჩვენი. . . .და ბოლოს: გამოვცადე ყოველივე ეს ნახსენები მიწიერი გამოცდა დედის, ქალიშვილის, დის, დეიდისა და მეგობრის როლში.

„ჩვენთვის, როგორც აღთქმის დამცველი ღვთის შვილებისთვის მოცემული საშუალება მხოლოდ ის კი არაა, რომ საკუთარ სირთულეებისგან ვისწავლოთ, არამედ ის, რომ გავერთიანდეთ თანაგრძნობაში და შებრალებაში, როცა ღვთის ოჯახის სხვა წევრებს მხარში ვუდგებით მათი დაბრკოლებების დროს“.[3]

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან და ინფორმაცია

იოანე 17:20–23; ეფესელთა 4:15; მოსია 18:21–22; 4 ნეფი 1:15; *reliefsociety.lds.org*

შენიშვნები

1. M. Russell Ballard, “The Atonement and the Value of One Soul,” *Liahona*, May 2004, 86.
2. ჰენრი ბ. აირინგი, „That We May Be One,“ *Ensign*, May 1998, 67.
3. ქეროლ მ. სტეპენსი, “ოჯახი ღვთისაა”, *ლიახონა,* მაისი 2015, 11-12.

განიხილეთ შემდეგი

როგორ გვეხარება ერთობა ღმერთთან ერთობაში?

© 2017 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/17.
თარგმანი დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი *Visiting Teaching Message, September 2017.* Georgian. 97929 131